ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.01.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №005/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ /სიითი№..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ჩ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I. აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 23 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლიდან ადვოკატ ა. ჩ.-ს აქვს სასესხო ვალდებულება შესასრულებელი. ადვოკატი ა. ჩ. დღემდე არ იხდის სესხის თანხას. საჩივრის ავტორის განმარტებით, ის საერთო ახლობლის - ზ. ნ.-ის თხოვნით დაეხმარა ადვოკატ ა. ჩ.-ს სესხის მიღებაში. ზ. ნ. პასუხისმგებელი იყო ა. ჩ.-ის მიერ სესხის სახით მიღებული თანხის დაბრუნების თაობაზე, თუმცა ის მოგვიანებით გარდაიცვალა და ადვოკატმაც განუსაზღვრელი ვადით გადადო სესხის დაფარვის პროცესი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას „კრედიტორები აწუხებდნენ", რის შემდგომაც ის შეუთანხმდა ადვოკატ ა. ჩ.-ს, რომ „გამოუტანდა სესხს", რაზეც მიიღო თანხმობა. ადვოკატს ევალებოდა

ყოველთვიურად საბანკო დაწესებულებაში გადაეხადა 300 დოლარი, თუმცა ვალდებულება არ შეასრულა, რის შემდგომაც ლ. ბ.-მ მიმართა სასამართლოს, რომელმაც გასცა სააღსრულებო ფურცელი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ა. ჩ. მას დაემუქრა და განუცხდა, რომ თანხას ვერ მიიღებდა. საჩივრის ავტორისთვის ადვოკატს გადახდილი აქვს სესხის ნაწილი 1700 ლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დაარღვია კეთილსინდისიერების პრინციპი, რადგან არ უბრუნებს სესხის სახით გადაცემულ თანხას.

II. სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 ადვოკატი ა. ჩ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№..../, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

2.2 ლ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 23 იანვარს.

2.3 სადავო ქმედება ხორციელდება დღემდე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ა. ჩ. არ უბრუნებს სესხის სახით გადაცემულ თანხას.

4.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულაში მითითებულია, რომ ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ა) ამ კანონის მე-5 მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის“. კანონის მე-5 მე-9 მუხლები, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა მიმართ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ადვოკატი ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას.

4.3 განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება ადვოკატის ისეთ ქმედებას, როდესაც იგი არ ახორციელებდა პროფესიულ ფუნქციას. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის არსებობს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და აღნიშნული საკითხის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

4.4 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის „ა“ პუნქტით, რომლის მიხედვითაც „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. შესაბამისად, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი:

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე-33-ე მუხლებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის „ა“ პუნქტით, მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №005/19 ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ /სიითი№..../ სპეციალიზაცია - საერთო, შეწყდეს დისციპლინური წარმოება;
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს;
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/